


140 / 1  
1989/2




# ՀՈՐԵՆՆԻ

11  
1989

# მ ა ს

საბჭოთა  
საინფორმაციო  
სისტემა



საბჭოთა  
საინფორმაციო  
სისტემა

კიდევ ერთი თავდადებული მამულიშვილი, კიდევ ერთი „მტრის ურჩი რაინდი“ მიიბარა მთაწმინდის მიწამ.

მერაბ კოსტავას სახით აღორძინებულ ქართულ ეროვნულ მოძრაობას დააკლდა ერთი ღირსეული თავკაცი, რომელმაც უშურველად გაიღო საქართველოსთვის საკუთარი სულიცა და გულიც — სული მაღალი, სანთელივით წმინდა და მირთოლვარე; გული მხურვალე, სათნო და კეთილშობილი.

ბევრი, სულიერ თვლემამოგვრილი ქართველი გამოაუხიზლა მერაბ კოსტავას სიტყვამ, ბევრს შეასხენა ყოველი მამულიშვილის უპირველესი მოვალეობა, ბევრს აუხილა თვალი ჭეშმარიტ ღირებულებებზე, ბევრი დააფიქრა და აამოქმედა. მისგან სწავლობდა ახალგაზრდობა სამშობლოს ნამდვილ სიყვარულსა და სამსახურს...

ეროვნული გამირი უწოდა ქართველობამ თავის შვილს და ამით სამუდამოდ დაუმკვიდრა ადგილი იმთ შორის, ვის სახელსა და ღვაწლს დავიწყება არ უწყრია.

# „დასასტუმრო, გაეცინებო, კავშირდრეო!“



19390

ლევან სანიკიძე ცნობილი მწერალია და მას უთუოდ კარგად იცნობს ჩვენი მოზარდი მკითხველი; განსაკუთრებით ისინი, ვისაც საქართველოს ისტორიის თემაზე დაწერილი წიგნები იზიდავთ. ალბათ მოგაგონდებათ მისი წიგნები: „უქაქაშო ხმლები“, „პონტოს სამეფო“, „დღა-ისტორია“, „იგორი და სააკაძე“ და სხვები.

გარდა მწერლობისა, ბატონი ლევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, აქ იგი ძველი ისტორიის კათედრის დირექტორია. უკვე რამდენიმე თვია, ვინ ხელმძღვანელობს საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებასაც. ჩვენი თურნალის კორესპონდენტი ეწვია მწერალს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას:

— ბატონო ლევან! სხვა ათას სიკეთესთან ერთად, თქვენ ჩვენში ახალშობილი დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე ბრძანდებით. ახლა, როცა მთელი საქართველო ერთი კაცით არის შეჯრული და ლეოთ ლენის საფიქრალთი შეპყრობილია, ორმაგად გვაქვს საორიენტაციო და გადასაწყვეტი. მათში ლიონის წლით მოდის „თქვენიუელ“ — რესპუბლიკის დემოგრაფიულ პრობლემებზე. დიას, დღეს, ჯერ რომ არ ყოფილია, ისე მდებარეა საქართველო, მაგრამ, მოგესხენებათ, იგი, ჯერ რომ არ მდგარა, ისეთი საშიშროების უფსკრულთანაც დგას...

— თქვენ უთუოდ ჩვენს უღარესად გაშვებულ დემოგრაფიულ ვითარებას გულისხმობთ და მართ-

ალიც ბრძანდებით. დიას, დღეს საქართველო ერთ-ერთი პირველია მათ შორის; ვისაც პერიოდი სკირიღება დემოგრაფიული გაქაქორება, თავისი მკვიდრი, ძირითადი მოსახლე ერის გამრავლება, მისი ეკონომიკური, კულტურული და, განვით, თვისებრივი დაწინაურება. იქნებ საკითხი უფრო ამგვარად უნდა დავაყენოთ. სამუხსაროდ, საქმე ისე წავგვიდა, რომ დღეს ქართველებს საქართველო თვით ჩვენს მამაბაბუულ მიწა-წყალზე — საქართველოში გვეყავს გადასარჩენი. საშიშროება ამაზე შორის ვერ წავა. მით უფრო, რომ დიდი და მსოფლიო მტრებით ათასწლეულების მანძილზე გარემოებულ ჩვენს მცირერიცხოვან ერს მსგავსი პრობლემა თავისი ხანგრძლივი ისტორიის გზაზე ერთხელაც არ შექმნილა. მე ანას მთელი პასუხისმგებლობით მოგასხენებთ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ისტორიკოსი. საქართველოს ყოველთვის მოყვარე მერი და ძლიერი მტერი ჰყავდა, მაგრამ მას არასდროს არავისთვის არ დასპირებებია იმის შესხენება, რომ ის, რასაც საქართველო და ქართული მიწა-წყალი მქვია, უპირველეს ყოვლისა, მას და მასზე ქართველთა ინტენსიურ და, თუ ის იტიყვა გამოდგება, მუდამ უტუებელ მკვიდრობას გულისხმობს. დღევანდელი საფრთხე კი ძალზე ცხადია. მოგესხენებათ, ქვეყანაში ყველაფერს წყვეტს რეალური მოსახლეობა... მიმანჩია, რომ ჩვენში დემოგრაფიული საზოგადოების შექმნა არის ერთ-ერთი იძულებული ღონისძიება, ერთ-ერთი, რომლის დონორი მუშაობითაც ამ პრობლემის სიმძიმეს უნდა გავუძლოთ. საქართა რეალური დემოგრაფიული სურათის ჩვენება, კონკრეტული ლო-

ნისძიებანი, ქართული შვილმრავალი ოჯახებისთვის, ახალგაზრდა მეუღლეებისთვის არსებით მატერიალურ და დანახარების გაწევა. ფიქტობო, მხოლოდ ამით შეიქმნება საკუთარ მიწაზე ქართველთა ინტენსიური მატების რეალური საფუძველი. მოგესხენებთ, როგორც ალბათ ნებისმიერ სხვა ქვეყანას, საქართველოსაც აქვს მოსახლეობის ნამატე, ოღონდ არა მკვიდრი მოსახლეობისა. არადა, საქართველო მცირერიცხოვანი რესპუბლიკაა და უცხო ტომების ამოღენა ნამატს მომავალში ალბათ უფრო ძნელად გაეძლებს. გამორკვეულია, რომ თანამედროვე ტექნიკის პრობლემის საქართველო შეძლებს მხოლოდ 5 მილიონი რესპუბლიკის შენახვას. დღეს კი რესპუბლიკის მოსახლეობა უკვე 5 მილიონს აჭარბებს, მათში ქართველთა პროცენტი ისევე ძალზე მოკრძალებულად გამოიყურება. მოგესხენებათ, ნამატს დასახლება უნდა და, თუ ყველაფერი ამ გზით, ქართველთა რაოდენობრივი სიმჭიდროვე გზით წავა. ფიქტობო, ზეალ კიდევ უფრო გაგვიჭირდება.

— სამუხსაროდ, ჩვენმა რესპუბლიკამ უკვე სახელისუფლო გათქვა მოსახლეობის შეგამოგარკვეული პროცენტებით. დღეს ამ პროცენტების მოწინარეება ღამის საკუთარი მიწა-წყლის შენარჩუნების ცდას უდრის...


— მე ფიქტობო, ამ ეტაპზე ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს, შევიტანოთ საქართველოს სახელმწიფო კონსტიტუციაში მუხალი, სადაც გამოკვეთილად იქნება ნათქვამი, რომ საქართველოს მთელი მიწა, წყალი და ზუნებრივი სიმდიდრე ეკუთვნის ქართველ ხალხს. ამისათვის უნდა ვიმბოლოთ, რადაცან, ჩვენდა საჯალალოდ, ჩვენსაც საწინააღმდეგოდ შემოვიგებრუნდა მშო-

სა. ს. ჩვენს  
საბჭოთაო

ბელი მიწის ყველა სიკეთე. რესპუბლიკის მოსახლეობის შიგამიგრაციული პროცესების მოწესრიგება ჩვენი საზოგადოებას ამგვარად წარმოუდგენია: ყველაზე საშუალო, უპირველეს ღონისძიებებში მიგვაჩინა მოსახლეობის მასობრივი განსახლება საქართველოს სოფლებში, განსაკუთრებით კი, ქვემო ქართლსა და საქართველოს სამხრეთში. მიმდინარე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამცხე-ჯავახეთის მიწების ათვისებას, საქართველოს აღორძინება ან „ახალშენება“ ამ 1.300 წლის წინათ სწორედ სამხრეთ საქართველოდან დაიწყო. ვფიქრობ, მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ გამოჩენილი ამ მხარის მიწათა ფონდი. საქართველოს სკირდება სამცხელებისა და ჯავახების ახალი, ძლიერი, ფუძემოტურდევნილი თაობა — ხანძთელებისა და ზარზმელების, ჩორჩანელებისა და ჩორღანელების, გამოკლებისა და ოპიზრებისა... საქართველოს აღორძინება და იქ ქართველობის მომრავლება.

— ამ ცოტა ხნის წინათ იყო, რომ პრესაში გამოქვეყნდა... 9 აპრილის საზოგადოების ხელდასმით მარნეულის რაიონში, სოფელ ახკერპის მიდამოებში სულ მალე ქართული სოფელი უნდა დაიბადოს, სადაც მხოლოდ სტიქიით დაზარალებული აჭარელი და თბილისელი მოსახლეონ ახალგაზრდები დასახლებიან...

— ეს დიდი და პატრიოტული საქმეა, სწორედ ის, რაც დღეს ყველაზე მეტად სჭირდება საქართველოს. ამასწინათ ოთხი ყმაწვილი მესტუმრა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახლადკურსდამთავრებულები. ეს-ესაა დაევაგნდით და გვიჩნდა, ახალქალაქის რაიონის სოფელ აზნაწაში დავსახლდეთ, — თანადგომა გვთხოვეს. ჩვენი საზოგადოება ყველანაირად შეეწყვეა და მხარეში ავირდებოდა ამგვარ ნამდვილ ქართულ, პატრიოტულ ნაბიჯებს. მათ მატერიალურად დავეხმარებით — ბინებით, თანხით. ჩემის ზრით, კარგი იქნება ასეთ ახალგაზრდებს ადგილებზე პირობები შეუქმნან ფერმერული მეურნეობების მოწყო-



ბისთვის. მათ უნდა მიეცეთ სასაქონლო წარმოების უფლება, ხელი უნდა შეეწყვიტოს, რომ დამპყრდენს, უცხო მოკიდონ სოფლად, გამდიდრდნენ. მოლონიერდნენ, ფუძემოტორი და შეიღმრავალი ოჯახები შექმნან, და კიდევ ერთი, ძალიან არსებითი: ჭეშმარიტი პატრიოტული სულისკვეთებით აღტკინებულ ახალგაზრდა კაცს, რომელიც მზადაა მტლად დაეღოს თავისი ქვეყნის სტკივარსა და პრობლემის, ხელი მაქსიმალურად უნდა შეუწყოს, შიშველი დაპირებისა და ტანის ამარა არ დაავდეს, შენც ვეჯკაცურად, მამულშივილიერად მხარში ამოუდგე...

— დემოგრაფთა ცნობით, საქართველოს მიგრაციული ელემენტის 98 პროცენტით თავმოყრილია თბილისში. საქართველოს, თავისი დედაქალაქის გამო, უკვე თავმომაზასაც ემაზინა... რა ადგილს დაიჭირებენ მუშაობაში თბილისის განვითარების საითხი? რაგორ უწყურბობ რესპუბლიკის ზოგიერთი უმადღესი სასწავლებლის თბილისის გარეთ გატანის ვერსიას?

— მართლაც, ყველასთვის სამაგალითო უბედურება გვეკრის. ამის ერთი მთავარი მიზეზი უყოფილ ისიცაა, რომ კულტურის, მეცნიერებისა და სხვა ყველა მთავარი ძარღვი დედაქალაქში გვაქვს. ამ საკითხს დაუყოვნებლივ უნდა მოვედოს და, რა

თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოების ძალზე პრიციპული მონაწილეობით. პირადად მე ძალიან მომწონს რაიონებში უმადღესი სასწავლებლების გადატანის იდეა. მე მახსოვს აკადემიკოს ილია გუგუას ბრძოლა ახალქალაქში ან ახალციხეში კიდევ ერთ ქართული უნივერსიტეტის დასამკვიდრებლად. მას ჩაფიქრებული ჰქონდა შეექმნა დიდი უნივერსიტეტი მთელი რიგი ნაკრები ფაკულტეტებით. ეს იყო დიდებული ჩანაფიქრი, რომლის განხორციელებასაც ხელს უშლიდნენ და აკი ასე მოხდა კიდევ — იდეა იხელდა დარჩა. მივესალმები ამ იდეის ხელახალ დაბადებას... აღფრთოვანებით შეხედვომა ამ იდეას საქართველოს ბევრი უმადღესი სკოლის პრაფესორა და სტუდენტთა, მაგალითად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა. რაიონში დაფუნდება ექსპერიმენტულ-სამეცნიერო მუშაობის მათ დიდ გამოცდილებას შესანიშნავ მდიდარი ბაზის გაუჩენდა. მე ვცინობ ამ ინსტიტუტის სამეცნიერო-მედაგოგურ კოლექტივს, ძალზე ქართული, პატრიოტული სულისკვეთების ადამიანები არიან და კიდევ სიამოვნებით გასწევენ ამ უღელს, იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ზოტექნიკურ-სამეცნიერო ინსტიტუტზეც. დედაქალაქში არსებობა მისთვის არაფერს მიძეკება.

— ბატონო ლევანი მოზარდებს აინტერესებთ ე. წ. თურქი მესხების საკითხი, როგორც მწერალი, დემოგრაფიული საზოგადოების ხელმძღვანელი და ბოლოს, როგორც ისტორიკოსი, ამ საკითხზე რას იტყობით?

— დღეს ალბათ ჩვენში ცოტა ვინმემ თუ არ იცის ამ ტრავმადიის მასშტაბები და სიკრამქ-სიკრამქ-ხეობის უბედურება ჭერ კიდევ XVI საუკუნეში იწყება. ამ დროიდან ხდება სამხრეთ საქართველოში თურქთა ძლიერი ექსპანსია — ძალმომრებით გათურქდა ქართველთა დიდი ნაწილი. და, საერთადაც, თურქეთთან ახლომეზობლობა იყო საქართველოს ამ მხარის ყველა ჭირისა და ტრეშლის სათავე... 1950-იან წლებში სამხრეთ საქართველოდან შუა აზიაში გასახლებულ გათურქებულ მესხთა შორის უმცირესობაა დღემდე შეინარჩუნა ქართული ენა, გვარი, მაგრამ მიმდინარე ეტაპზე ჩვეუ პოპულარია იმგვარად, როგორც თელი საქართველოსი. საქმე ია გახალისე, რომ საქართველოს დღეს არ შეუძლია გარყვნილი ვინმეს მიღება, არც იმათი, ვინც ამ გასახლებულთა შორის დღემდე ქართველად გრძნობს თავს და, მით უფრო, არც გათურქებული ელემენტებისა, დღეს საქართველოს, უპირატესი ყოვლიანა, თავისი პოლიტიკური, ეროვნული და ეკონომიკური პრობლემების მოჭრისთვის სჭირდება, ვინახთ, როგორი გვექნება ხელოვნური დღე... თუ სიმშვიდე გვეღირსა, ალბათ შემდგომეც დაისმება გასახლებულ მესხთა სამშობლოში დაბრუნების საკითხი, ოღონდ აქ უნდა იყოს ორი აუცილებელი პირობა: ისინი, ვინც დღემდე ქართველად იცნობენ თავს, სჭულოვარად უნდა გაქართველდნენ ე. ი. გაქრისტიანდნენ და მისობრივად, გაფანტვით უნდა განსახლდნენ მთელ საქართველოში.

— საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოება ალბათ ყველაზე მეტ უარულდობას უთმობს მრავალშვილიან ქართულ ოჯახებს. როგორია ამ მხრივ თქვენი გეგმები? მო-

ვალაში როგორ წახალისებთ ჩვენში მრავალშვილიანობას?

— უპირველეს ყოვლისა, ცდილობთ, მით კოტას დადგირდით და მეტი გაუუყუთოთ, მეტი რეალური და კონკრეტული რამ, გვინდა ჩვენს მატერიალური დახმარებით მრავალშვილიან ოჯახებს შევექმნათ იმგვარი ფინანსური მდგომარეობა, რომ ყოველი ახალი შვილი ზედმეტ ტერითად არ იქცეს მათთვის. ვგულისხმობ სრულწლოვანებამდე ბავშვების გარკვეული რეგულარული ფულადი სახსრით უზრუნველყოფას. გვინდა შევექმნათ საბინაო კომპლექსები როგორც მრავალშვილიანი, ასევე, ახალშექმნილი ოჯახებისთვის. მოგვხსენებთ, უბინაობა ორით უფრო მზარეც ძალიან აბრკოლებს... დღესდღეობით, სანამ ამ ჩვენს იდეებს რეალური სახე მიეცემოდეს, უფრო კონკრეტული, რა თქმა უნდა, არალეგალური, ადგილებზე შექმნილი ვითარების შესაბამისი, რეაქონალი ფულადი დახმარებებით ვიფარვლებით.

უახლეს ხანში ალბათ გამოვა ჩვენი საზოგადოების გამოქვამი — გავზეით, რომელიც სისტემატურად გამოვჭყურებთ ცნობებსა და მილიონობებს ქორწინებებისა თუ ახალშობილების შესახებ. მასში ალბათ აისახება ჩვენი პრობლემებიც. ყოველ შემთხვევაში, იმედი გვაქვს, რომ საზოგადოებას დავანახებთ, ვინ არის კუშიარტად დაინტერესებული რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის სიმრავლით და ვინ — არა. ჩვენ გვინდა შევექმნათ ისეთი საერთო განწყობილება, რომ უოჯახობა სირცხვილად ვაქციეთ საზოგადოების ყოველი წევრისთვის, მით უფრო, მამაკაცებისთვის. ამგვარებს ნამდვილი ბრძოლა უნდა გამოვეყუხადოთ — გადავეუტოთ გზა სამსახურებრივი დაწინაურებისკენ, წყარმტვებისკენ, არ, რას ამბობს ძველი ინდური კანონი: „დაამიანო, თუ არ შეჭქმენ ადამიანი, შენა ხარ მკვლელო“. ასეთი უნდა იყოს მთელი ჩვენი ქართული საზოგადოებრიობის, ქართველი ხალხის პოლიტიკა.

— რას უსურვებდით ჩვენი უფრ-

ნალის მკითხველებს? როგორები უნდა იყვნენ, როგორ უნდა გაისარჯოთ თავიანთი სამშობლოს, მისი ხელისაღმოსაღმოს?

— რა თქმა უნდა, ყველფერი საუკეთესოს ვუსურვებდი, როგორც მათათრე უფლებებს. მე ღრმად მკერა, რომ ადამიანი ვერ გაეცეცვა ბუნებისაგან ნაკარნახევს და „შეუღლები დაწერილი“. არც უნდა გაეცეცეს საუკეთესო, მაღალკეთილშობილური თვისებების აღზრდა საკუთარი თავში კი მას აუცილებლად შეუძლია. მე ვისურვებდი, რომ თავიანთ მაღალ მიზნებზე ფიქრიან ერთად, მათ იფიქროს იმ ლამაზ ცხოვრებაზეც, რომელიც სიყვარული მოაქვს. რომ ამ სიყვარულმა ისინი მიიყვანოს დიდ ქართულ ოჯახამდე, ანაზე ახლავე უნდა იფიქროს ყმაწვილებმა, ეს ყველაფერი სახლში თუ კარში უნდა ისევე უნდა აფასებდნენ თავიანთ ოჯახსა და ოჯახისშვილობას, ახსოვდეთ, რომ ოჯახის მიყვარული სამშობლოს უპირველესი სამსახური. ვუსურვებდი, მოუფრთხილდნენ მათში ბუნების მიერ ღვთიური ინსტიტუტად ჩაღებულს, იმას რომ ცოცხლა გოგონა თვალის ახელიანთ თორქანს ეტანება, მის „დედობას“ ჩემობს, ხოლო ბიჭი — ხმის დაბოხებასა და ოჯახის „მამობას“. ბევრი იკითხონ, „ვანსაკუთრებით, ჩვენი დიდი კლასიკოსები, — მე პირადლ დაბოხებმა და ვეამ გამზარდეს, მათმა დედმა და სუფთა სულებმა. არ არსებობენ სამშობლოს გრძნობის ამითვე უკეთესი გამოვლილებები, ქართული სულიერების, ქართული ვაჟკაცობის, ქართველი დღე-კაცობისა და მამაკაცობის ამითვე უკეთესი მისაწველებლები. მინდა ერთი ვისურვოთ: დღეს რომ ახალი ქართული სოფლების აშენება-დასახლება ლამობენ, იმ კარგა ქართული ახალგაზრდების მძალი თქვენც გადადგებოდეთ. ასევე თამადა და დაუძახებლად მისულებათ თქვენს მამაბაბულ სამეკიდროსთან, დასახლებულიყავით, დამარღვლებულიყავით, დამდიდრებულიყავით!



ბარაქიანი ჩაშვარული ჩაყრითელის მებაენებით ავ. სანს ვედროებს ელს ბარკოსუვილი

# ქვეყნული გაყრუე

თემურ  
ცაბარული  
ფოტო აპროისა

## გონივრული-სიხარული

ბარაქიანი ჩენი სამშობლოს, საყვარელი საქართველოს მიწა-წყალი მისი მთებითა და ველებით, მდინარეებითა და ტბებით, ტყეებითა და იალაღებით, ხეხილის ბაღებით, ვენახებით, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებით და, რაც მთავარია, შრომისმოყვარე, გამბრჭყვინძე და სტუმართმოყვარე ხალხით. განგებამ თუ რაღაც ძალამ ეს პატარა სამოთხე წილად გვარგუნა და მასთან ერთად უამრავი მტერი და ბუნების დაუნდობელი სტიქიაც გვიწილდა. ქართველმა კაცმა ეს კარგად იცის და ამიტომ ოდითგანვე სულ ბრძოლაშია — ხან მტერს ებრძვის, ხან — სტიქიას. ჳირი ბევრი ჰქონდა, უფრო ნაკ-

ლები — ლხინი, მაგრამ თავისი გმირობითა და შეუპოვრობით მაინც შეინარჩუნა თავი და სამშობლო. მართალია, გადამთიელი მტერი დღეს ისე აღარ გვეძალება, მაგრამ ბუნების სტიქია მაინც თავისას შერბება. მთელი კახეთისათვის ცივგომბორიდან წამოსული ლეგა ღრუბელი ავის მაუწყებელია, მას სწორად სეტყვა მოჰყვს და დაუნდობლად ანადგურებს მშრომელი კაცის ნაამაგარს, მუსრს ავლებს ბაღ-ვენახებს. ასე მოხდა შარშანაც. ყვარლის რაიონში ზოლად წამოსულმა სეტყვამ მიწასთან აანწორა ქინძმარაულის ვენახები. მთელი წლის ნალოლიავეები ვაში ერთთავად ჩამოსხიმა, წყალში ჩაყარა შრომა, გული მოუკლა ვაზზე შეყვარებულს. ზარალი დიდი იყო. მევენახეები თვალზე ცრემლმომდგარნი გაჰყურებდნენ განადგურებულ ნაშრომ-ნაამაგარს, მაგრამ ამა რას გააწყობდნენ, ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყათ.

გარდაქმნამ ბევრი სიკეთე მოუტანა საბჭოთა ხალხს. როგორც ქალაქად, ისე სოფლად შეიქმნა დარგობრივი



იხ ღლის ნაუფიერი მუშაობისათვის ბარჯუე გო. ბონას — ნინო მირიანაშვილს — არწვანდორბაპ პრ. მია — რაჩიეთლის ვეპა ჩა ბალასის

კოოპერატივები, საიჭარო ბრივადები. ერთი ასეთი ბრივადი ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობაშიც შეიქმნა იროდ სახარაშვილის მეთაურობით. საერთო შეთანხმებით, ბრივადის თხოუმეტმა წევრმა სეტყვისაგან გავერანებულ მეურნეობის 46 ჰექტარი ვენახს იჭართი აიღო. მოიჭარადრეებს მხარში ამოუდგნენ ყვარლის სამივე საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეები. ჯერ იყო და, მთელი ვენახი საგულდაგულოდ გასუფთავეს, სეტყვისაგან დაზარალებულნი ღერწები სექატორებით შემოაცალეს ვაზის თითოეულ ძირს, მწკრივებს შორის მიწა გააფხვიერეს, დროზე შეიტანეს მინერალური სასუქი, ადრეულ გაზფხულზე საგულდაგულოდ გახსლეს

და როცა „მწვანე ოპერაციების“ დრო დადგა, არც აქ შეირცხვინეს თავი. „ახვევს“, „ციხ გახსნას“, თოხნა, შალაფისაგან გასუფთავება, შეწამლა — რომელი ერთი ჩამოვთვალთ, ყველაფერს დროულად აკეთებდნენ. მართალია, ვენახი გადაარჩინეს, მაგრამ ვაზი ჭრ ისე არ მოლონიერებულა, რომ უხვი მოსავალი მიიღოს.

დადგა შემოღობვა. ვაჭურდა რთველი. დღი და პატარა ვენახში გავიდა, ხამურდა „გრუნა ცაცხვის“, „საქულას მხსლოს“, „წიარაათ ცაცხვის“ და ცხრაქარას შემოგარენი. სექატორებით, საწმინდო დახებით და ზოგიც — ჩვეულებრივი მარკატლებით — ვენახის მწკრივებში ჩადგნენ. დაიწყო უურძნის კრეფა. მეურნეობის დირექტორმა თამაზ ნასარიშვილმა შრომისმოყვარე გოგო-ბიჭებს ავტობუსები გამოუყო და ყოველ უთენია დღილით ვენახში გადაჰყავდა ისინი. ოთხ ბრიგადად დაყოფილი ას ოთხმოცდაათ შეტი პიონერ-მოსწავლე თავიანთი ხელმძღვანელების, ნელი ბეჟანიშვილის, დამარა გიოშვილის, თინა ინჯგაბია და მარინა ზანდარაშვილის თაოსნობით ყოველდღიურად 10-12 ტონა უურძენს კრეფდნენ და ახარებდნენ ქარხანას, ელსა მარკოშვილი, ფატი ფრიდონაშვილი, ია ელოშვილი, ანა ოსიაშვილი და პირველი ბრიგადის სხვა წევრები დღეში თითოეული 150-200 კილოგრამამდე უურძენს კრეფდნენ. ზედიზედ მოჰქონდათ ვედროები, კალათები და ლომარ ბარამიშვილის ტრაქტორზე გამოხმული ძარა სწრაფად ივსებოდა ნინო მირიანაშვილის, ხათუნა ქარსანაშვილის, ილია კოკრაშვილის, თამარ მიქელაშვილის და სხვების მიერ მოკრეფილი ქარვისფერი მტევნებით.

შრომითი სემესტრის მონაწილეები წელსაც ჩვეულებისამებრ ამოუდგნენ მხარში სოფლის მეურნეობის მუშაკებს და დაუზარებლად შეჰქონდათ თავიანთი წვლილი ბარაქიანი მოსავლისათვის ბრძოლაში.

დაუნდობლმა სტიქიამ წელსაც დიდი ზარალი მიაცენა საქართველოს სხვადასხვა კუთხის. აქეთ — სვანეთის, იქით — აჭარის ზვავებმა და მეწყერებმა ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უფრო მეტი უსახლკაროდ დარჩა, საუბრო გახდა მათი უსაფრთხო რეგიონებში გადასახლება, სასწრაფოდ ბინების მშენებლობა. ყოველივე ეს დროს მოითხოვდა და ამიტომ, საქართველოს შთავრებისა და ხალხის ერთსოფლავანი გა-

დაწყვეტილებით, წლებანდელი სასწავლო წელი პირველი სექტემბრის ნაცვლად ორ ოქტომბრის დაიწყო. ბუნებრივია, გაიზარდა შრომითი სემესტრიც. რიგი დაზარალებულებს ემხარებოდა, რიგი — სოფლის მეურნეობის მუშაკებს, რიგი ისტორიული ძეგლების სარესტავაციო სამუშაოებით იყო დაკავებული. როგორც უკვე იქნება, ყუარლის პიონერ-მოსწავლეები ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობის ვენახებში ფუსფუსებდნენ, ვაზი გადაარჩინეს. კმაყოფილებას ვერ ფარავდა მეურნეობის



იპირითაა მისხმა ძარაც. უთველდურად 10-12 ტონა უურძენს მოჰადა და ჩაბარება იოლი სამა როლია. მანარა, სამაბიერიო, სახალსოა

დირექტორი თამაზ ნასარიშვილი, მარჯვენას უქებდა შრომისმოყვარე პიონერ-მოსწავლეებს. და, ცხადია, კიდევ უფრო გაიზარეს მოიქარე იროდი საბარაშვილი და მისმა ბრიგადამ. ერთგულმა შრომამ, საქმისადმი სიყვარულმა ნაყოფი გამოიღო და ბუნების სტიქიისაგან, სეტყვისაგან გავერანებულ 46 ბექტარ ვენახში მაინც მიიღეს 250 ტონა უურძენი. იმედოვნებენ, რომ საგაისოდ ვაზი კიდევ უფრო მოლონიერდება, მოსავალიც ბარაქიანი იქნება და გეგმასაც გადაპარბებით შეასრულებენ.



საბჭოთაული საქართველო  
საბჭოთაული საქართველო  
საბჭოთაული საქართველო  
საბჭოთაული საქართველო



კომუნკი

საქ. კპ მ-რ  
გაერქმედიოლა

გაერქმედიოლი  
1926  
გაერქმედიოლი

საბჭოთაული საქართველო



### ჩემი ცარი და კედლისთვის

„დასაბამიდან ვცტანეთო“, —  
დღესაც გამჩინთან დაობთ,  
ჩემო და სხვისო კლარჩეთო,  
ჩემო და სხვისო ტაო!  
ვინა თქვა — ასე დავრჩეთო,  
ღვიძლო ძმხო და დაო, —  
ჩემო და სხვისო კლარჩეთო,  
ჩემო და სხვისო ტაო!

●  
ზეცას აიკლებს ზაოთქები  
და ყვაილებს თოვა, —  
ლექსის ამინდიც დადგებო,  
ლექსის ზეიმიც მოვა!  
მოვა და ცერზე შედგება  
მზე წითელი და მწვავი,  
მიწა იქცევა ედემად,  
კვირტი იმღერებს მწვანედ.  
მოვა და გულმკერდს გაიხსნის  
ციხ კახალონი ლურჯი,  
მოსიხატება მაისი  
ჭერარანახული ფუნჯით.  
მოვა და სუყველაფერი  
ამზიანდება მაშინ,  
გარემოს სუნთქვა დაფერავს  
ახალშობილი ბავშვის.  
მოვა და ფეხს არ გაადგამს  
ალარახოდეს მერი,  
მიწა იქნება კალათა —  
სავსე ათასი ფერიოთ.  
ზეცას აიკლებს ზაოთქები  
და ყვაილების თოვა,  
მოვა ლექსების ამინდი,  
აუცილებლად მოვა!

### უძველესი

შუალამე დაჰფენია  
სამზეოს და  
სანათლოს...  
აფრებიანს, ზღაპრებიანს  
მშველად სძინავს საქართველოს.  
— ის ვინაა, რომ წრიალებს  
და დაშითაც არ ისვენებს?...  
— პოეტია,

ან ლექსს დაწერს,  
ან გადღერის დანთ ვენებს.  
ის ვინაა,  
ის ურჯულო...  
ის ვერავი, ის ბებერი?  
— ისევ ფხიწლობს 'საქართველოს  
მეტრი დაჰძინებელი.  
— ის ვინაა,  
მთელი ლამე  
უძილობამ რომ გატანჯა?..  
უსახელო ქართველია,  
უანდომოდებულს ლესავს ხანჯალს.  
შუალამე დაჰფენია  
სამზეოს და  
სანათლოს...  
აფრებიანს, ზღაპრებიანს  
მშველად სძინავს საქართველოს.

●  
დაცქვეტილი გაქვს, ვიცო, ყურები,  
მოსწავლესავით მიმწერი და მისმენ...  
რომც ვადაბრუნდეს გზაზე ურბი,  
გახვალ ბოლომდე  
ასე თუ ისე!  
რაც ბევრმა იციხ, მასაც ისწავლი,  
სიკვიდილის ცელსაც დაუდებ  
კისერს...  
და მაინც, მაინც, საქმე ის არის, —  
გახვალ ბოლომდე  
ასე თუ ისე?!

### ჩემი ზედისგულსხედავ

ძველებურად ისევ იწვი,  
შენებურად ისევ ელავ...  
ჩემო ცავ და ჩემო მიწავ,  
კაცის ხელისგულისხედავ!

თვალისჩინო, გულისგულო,  
ჩემო ჭირო, ჩემო ლხენავ,  
შენით უნდა ვიდიდგულო,  
ჩემო ხელისგულისხედავ!

ჩემო მზეც და ჩემო მთავრეც,  
ჩემო სედღავ, ჩემო ყველავე,  
ლექსი ფიცად მიითვალმი,  
მართლაც ხელისგულისხედავ!

ძველებურად შენთვის ვყავ და  
ძველებურად შენთვის ვდღეავ...

ციხ სინათლს შენით ვცედავ,  
ჩემო ხელისგულისხედავ!

### მონუსვის ფიქრი

სული მიდავ  
ამ ბუნების  
მთელითა და ნაწილითა,  
ყელდამწვარი ბუღბუღლითა,  
სისხლისმსმელი არწივითა,  
ეშმაკით და მაცლითა...  
სხვისო რა ვი...  
მე სიცოცხლეთ,  
ამ ხნის ვარ და,  
აწი მინდა!..

### სკანური ჭული

●  
ს. შამგრიანს  
დავლობა ღმერთს, —  
ძვირფასი  
განძი შემონახულა:  
საქართველოს  
სკანური  
თავზე ქული ახურავს.  
ერთნაირად ამშვენებს  
სვანს, ქართლსაც, გურულსაც...  
„კრიმანულსაც“ უხდება,  
„ლილეოსაც“, „ურმულსაც“...  
ხატავს დიდს და პატარას,  
ხატავს უსაშველოდ და  
წულსად ისე, ათასი  
წლის წინათ რომ შვენოდა.  
თავის დროზე თბილია,  
თავის დროზე გრილია,  
თავზე დაინურავდა  
შოთაც, ვაჟაც, ილიაც.  
არ აკლია სინდისი,  
არ აკლია ნაშუხი,  
საკადრისად სიყვარულს  
ვერასოდეს ავუსხნი...  
ლოცვავ; არსთა განმრიგის  
მიადწიე ყურადმი:  
საქართველოს  
სკანური  
ჭული  
მუდამ მხურავდეს!





# თქოზრი უღაჯონი მოქოზუი

ვლადიმერ  
ასლანაშვილი

მთხრობა

მხატვარი  
პარლ ფაჩულია

ამ მოულოდნელმა შენგედრამ გუბაში შეაკრთო. თითქოს რაღაც დანაშაულზე წაასწრესო, უცხო კაცს თვალი ვერ გაუსწორა, გვერდი სწრაფად აუარა და გზა განაგრძო.

კაცმა ბიჭს თვალი გააყოლა. მერე თბილგებში შეჭრილ ბილიკს გახედა, ღმერთმა იცის, რას ფიქრობდა, რა უტრიალებდა თავში. იღვა ერთ ადგილზე მილურსმულივით. უცებ, თითქოს ხელი ჰკრესო, ბილიკზე შლენგიანივით შევიარა.

გუბაზს უკან აღარ მოუხედანს. ჭერი ნელა მიდიოდა. კოტა მანძილი რომ გაიარა, გაიქცა. რატომღაც სჭეროდა, რომ სწორედ იმ კაცს შეხვდა, ხონებზე ანკესებით რომ ნაღირბოდა. ნახავდა მოშლილ მახეებს და არ ნაკტიებდა, გაბოროტებული უკან გამოეიდგებოდა. გუბაში ვარბოდა. უხდებოდა, რაბა შეიძლება სწრაფად გასულიდა ტყეს, იმ უცხო კაცისაგან შორს ყოფილიყო.

მისდა გასახარად ტყის დერეფანი უცებ დამთავრდა. გუბაში ერთ პატარა მინდვრიანზე მოხვდა. მინდვრის მუჯღულში პალოზე თოკით გამობმული სანდრო პაპას თითვოლა\* სძოვდა. ცხენს თავი მულამდე წამოზრდილ ბალახში ჩაეყო. გრძელი შავი ძეხით ბუხებს იგერიებდა. ფეხის ხმა რომ გაიგონა, ყურბედაცკეტილმა თავი ასწია, გუბაზს გამოხედა, ჩუმად დაიხეხინა და ისევ ბალახს მიეძაღა.

— ხობიბის ყელივით ლამაზი  
ჭლი გადმოღვა ბანზედა...  
წაილინა გუბაზმა და გაიქცა. წელან ტყეში სიკადა ემღერა და არ გამოუვიდა, ეხლა თვითონვე მოეწონა. მინდვრის სიმღერით ვადაიარა და აზოლტლ თველბექემ შენფრუფარებული ფიცრული ჭიხიკ გამოჩინდა. იმ ჭიხში სანდრო პაპას ჰქონდა ბინა. ირიტაყებდა თუ არა, შეკაზმავდა თავის თრთილას, მხარზე ორლულიან თოფს გადაიკიდებდა და ტყის დასახედად მიდიოდა.

სანდრო პაპა საყარაულოში ეყო. ამას გუბაში აღერევე მიხვდა. პირველად მაშინ, როცა თრთივლა საბალახოზე წახა, მორედა — საყარაულოს ლაზნებით შემოკვეებული ეხოს პატარა ხის კარი ილა რომ დახვდა.

მისი ვარაუდი გამართლდა. საჩენჭი მუწანე ზაკის შარვაღალ-ხალათისა და ჯარისკაცურ ბრახუნა ჩექმებში

გამოწყობილი, კალარა წვერ-ულვაშით დამშენებული ტყისძველი გამოჩინდა. ეხოში შემოსულ ყმაწვილს გამოხედა. იცნო და ვახარებული გამოეგება. ვინც მოვიდა, გულმარჯოსო, შესძახა და ხელი ჩამოართვა.

გუბაზმა საჩენჭი ხის ტახტზე სანოვაგაიანი ჩანთა დალო და ჭიბიდან თბილის ფოთლებში შეხვეული ანკესები ამოიღო, პაპას უჩვენა.

- ნახე, რეუბია?!
- ანკესები? სად ნახე?!
- ტყეში, თბილგებში ბილიკი რომ შედის, იქ ავხსენი. ერთზე მამალი ხობიბი იყო გაბმული, ანკესი ენის უკან ყელში ჰქონდა ამოყრილი. მაშინვე გავათვისუფლე და გავუშვი.
- ძალიან ხომ არ ჰქონდა ყელი დაზიანებული?
- არა, კოტა სისხლი დასდენიდა, თითოთ ამოეუფმინდა!

სანდრო ანკესებს ათვლიერებდა, ჯავრობდა, ველარ ვერევი ტყის ქუჩედგასა და ბრაკონიერებს.

— ბილიკიდან გზაზე რომ გამოვიდა, წინ კილისქედლიანი, გაუპარსავი კაცი შეხვდა. ანკესის მახეები იმის მოწყობილი მეგონა, შევზინდი და გამოვიქეცი, — გამოიტყდა გუბაში.

- კილისქედლიანი, ხომ?
- კი, შავი, გახუნებული ლაბადა ეცას!
- თხლებო ყოფილა!
- თხლებო? ეგ რა სახელია, პაპა, ნამდვილია? — გაეცინა ბიჭს.

— არა, თხლებოს უხვირო კაცს ეძახიან. სხვა დროსაც მყავს ეგ დამპალი ბრაკონიერობაში შენიშნული და მაინც არ იშლის ციგნარსა. — სანდრო უცებ გაჩუმდა, ბიჭს ერთ წამს დააკვირა და ჰკითხა: — მოიც, მოიცო, ეხლა ნახე არა? — პასუს აღარ დაუცადა, ანკესები ხალათის ფართო ჯიბეში ჩაიყარა და საყარაულოში შევიდა, იქიდან თოფი გამოიტყანა, მალე მოვალო, დაუბარა ბიჭს და ტყისკენ გაიქცა.

მთელი დღე ავტობუსებით ნამზავრამა ბიჭმა (ჭერი თბილისიდან — სოფელში, ახლა სოფლიდან — ქეთ ტყე-ღრეში) გადაწყვიტა, ვიდრე პაპა უკან მობრუნდებოდა, საჩენჭი ტახტზე წამოწოლილიყო და დაესვენა, მაგრამ უშვალ ვადიფიქრა. გვერნებოდათ, ვინემ მისდევსო, ისე ვავარდა ტყეში თავქუდმოვლოველი.

იმ ბილიკზე, სადაც ხობიბი გამოჩინდა ანკესიდან, არავინ აღმოჩნდა. გზა განაგრძო და მძამალაო ლაპარაკი გაიგონა. სანდრო პაპა ვილაცის ეღვებოდა. რა

\* თრთივლა — თვითად დაწინაწდული წითელი ცხენი.

თქმა უნდა, თხლებოს გამოიყვარდა. მართლაც ის იყო. გუბაზი ახლოს რომ მივიდა, ასეთი სურათი დახვდა: განრისხებულ ტყისმცველს მარცხენა ხელში თოფი ეჭირა, მარჯვენა მოემუშტა და მოზუხულ ქოლისქულიან კაცს ცხვირწინ უტრიალებდა.

— შე ნაგავო, შენი გულისათვის ციხეში როგორ უნდა ჩავვდე, თორემ დაგამტკრევედი მაგ ჩანებს! შე უნამუსო, რატო არ იშლი ტყეში ტურასავით ძრომას, რატო არ იშლი, პა?

— მაპატიე, სანდრო, მაპატიე, რა! — ჩაბნინწული ხმით ლულულებდა ის და ტყისმცველის მუშტს სახეს არიდებდა.

— შარშანაც ხომ დაგიკირე ჩალიან ხევში და კურდღლი წაგართვი! მაშინაც არ იხევწყებოდი, ერთხელაც მაპატიე და ტყეში ვეღარ მნახაო? დაგაიწყდა?

მცველისთვის ჩვენება, უკან-უკან იწეოდა. სანდრომ იფიქრა, გაქცევის აპირებდა. მარჯვენა ხელი თხლებოს ლაბანის გულისპირში სტაცა, მეორე ხელით თოფი გუბაზისკენ გაიწეოდა.

— თოფი დამიჭი, შვილო!

გუბაზმა თოფი გამოართვა. სანდრომ გათავისუფლებული მარცხენით თხლებოს მხრიდან აბგა გადააძრო, გახსნა და შიგ ჩაიხედა. თხლებომ დრო იხელთა და ტყეში ისეთი სისწრაფით შევარდა, ხის ტრტს წამოდებული ქოლის ქული თავიდან გადასძვრა და გამოფრიალებული გუბაზის ფეხებთან დაეცა.

— მოიხდა, მოიხდა, ევე! — ყვიროდა გუბაზი და სიცილით იფულდებოდა.

სანდრო პაპამ აბგიდან თავაწყვეტილი დედალი ხოხობი ამოიღო.



— შეეცდი, ეშმაკი შემიძღა თავში! — ლამის ტირილი დაიწყო თხლებომ.

— ერთხელ შეედი, მეორეჯერ შეეცდი... ვანა რამდენი შეეცდომი შეიძლება ეპატოს კაცს, როდემდე უნდა ვააქრო ნადირ-ფრინველის სინსილა?

— ეხლა გამოშვი და, თუ სხვა დროს მნახა, ნუ დაშინდობ, შესროლე თოფი და გამათავი! — თავს აზრალეზდა თხლებო.

— ეე, როგორც ღორი არ მოიშლის ტლახში გორაობას, ისე შენ ბრაკონიერობას ვერ შეეღვევი. მართლა ვაცეცხლებულ გულზე რომ შემომეფათურაკო, მეორე სასამართლომ კაცად უნდა ჩამითვალოს შენი თავი? მაჩვენე, რა გაქ მაგ აბგაში! — ტყისმცველმა ხელი თხლებოს მხარზე გადაკიდული აბგისკენ წაიღო.

თხლებომ უკან დაიწია, უარესად შეშინდა.

— არაფერი, სანდრო, რა უნდა შეჭონდეს, საჭმელი მიღევს, გარეთ ვასული კაცის ამბავი ხომ იცი, რა გესწავლება!

— მაჩვენე-მეთქი! — უფრო აუწია ხმას ტყისმცველმა.

— მაინც მოუსწრა ავკაცობის ჩაღენა.

ტყისმცველმა პირი იმ მხარეს მიაბრუნა, საითაც თხლებო სირბილით ტყეს მიამტკრევედა და ხმამალა გასძვბა:

— სად წამიხვალ, სადა, დაგიქრ და ყოფას გიტბრებ, შე დამპალო!

— ბილიკზე არც ერთი ანკესი არ დამიტოვებია, ეს ხოხობი საღდა დაიჭირა?! — თქვა გუბაზმა.

— სხვაგანაც გამართავდა მახეებს. აბა, ემად შეინდის ქვეშ შეიხედე, ბილიკი გაღის რამე? — უთხრა სანდრომ.

გუბაზმა მიწის პირამდე დახრილი შეინდის ტოტბაღლა ასწია.

— არის!

— შედე, მახეები მოძებნე!

გუბაზი ბილიკს მიჰყვა და ორ ალაგას ანკესის მახეები ათხვანა.

— ამას კი აღარ ვაპატიებ, უნდა მილიციაში გამოვძახებინო ეგ ტურა. თფუბ, რა ნაშუსარეცხილი კაცი!

— ამბობდა ტყისმცველი და თაფყალი, სისხლისაგან ბუმბულმოთხვრალ ხოხობს სინანულით დასცქეროდა.

— ენა იცის, კრუხობდა. წიწილებიც ჰყავდა!  
— მაგ მკვდარ ხოხობსაც მილიციამი წაიღებ? —  
იციხა გუბაზმა.

— არა, შეიტანე ტყეში, სადმე დააგდე, ნადირი შე-  
კამს!

ბიჭმა თოფი პაპას დაუბრუნა და ხოხობი გამოა-  
თვა. ფეხებით თავდაყირა დაიწია, ტყეში შევიდა.  
სანდრომ თხოვოს დანატოვარ ანგაში მისივე ქო-  
ლის ქუდი ჩაატყა, უკან მიზრუნებულ გუბაზს მისცა,  
თან წაიბოლიდა და ღრმად ამოიხვენა.

— სულ ამ დღეში ვარ, ხან ნადირ-ფრინველის და-  
საქერად მოძიებდა ვინმე ტყეში, ხან ხევის მოსახერ-  
ხად და ასახებდა. ამენეს კიდევ ავუღვივარ; ხომ გავი-  
გონია, მეღლის საქათმის კარზე გაუთენდებოდა. არ შე-  
იძლება ვინმე თხოვოსავით არ გავაბა კაქანათში.  
მაგრამ ეს ტილი, ახალი დარღუდბა რომ გამოვარდა,  
რა მენა?

— რა მოხდა, პაპა?!

— გეტყვი! — სანდროს სახე უარსად მოედუნა და  
მღვებრად განაგრძო გზა. გვერდით მხარზე აბგავდა-კი-  
დებულო გუბაზი მისდევდა. პაპამ რომ თქვა, ეს ტილი,  
ახალი დარღუდბა გამოვარდა, მიხვდა, რასაც ნიშ-  
ნავდა ეს სიტყვები. ზეგბამ ხომ უფროა გუბაზს: კბი-  
ლამთა იტლები, მაგიტომ არის გათოღებულნი და  
გატყურებულნი. ამიტომ მოუთმენლად ელოდა, რას  
იტყოდა პაპა.

სანდროს დუმდა. თოფი მარცხენა მხარზე გაიღო,  
მარჯვლად ხელის თითები ქაშარში ჩაეკო და, თითქოს  
საოქროდ დააეწყუნა, ზეგბე მიიღოდა.

ასე უბრაოდ იარეს ტყის პირადღე. მინდვრებზე რომ  
გამოვიდნენ, ტყის მცველი შეჩერდა და ბიჭს საყარაუ-  
ლის გადაღმა ტყით დაემშვიებოდა, თავმოყვლი მთა  
დაიანახა.

— წყლან რომ გიბიხარი, ახალი დარღუდბა გამო-  
ვარდა-მეთქი, შეხედე, უხლა აი იმ მთას დაადგეს თვალი!

— კბილამთას?

— ხო, კბილამთას!

გუბაზი მთის დაღუბვაში, როგორც ზეგბამ უთხრა,  
ზედ ამოზრდელი ტყის გაჩეხვას გულისხმობდა. ვერ  
წარმოედგინა, თუ მთას სხვა საშარშირებაც მოელოდა.  
თავისი აზრი პაპას ხმამაღლა გაუზიარა.

— როცა მთას მოსპობენ, ზედ რაც არსებობს; ტყე,  
ბალახი, ნადირი, ფრინველი თავისთავად განადგურდება.

— მთა აღარ იქნება? — გაუკვირდა ბიჭს, — მთის  
მოსპობა ვის გაუვლია, პაპა!

— ორმოცი, ორმოცდაათი წლის წინათ მართლაც  
ძნელი იყო იმის წარმოადგენა, რომ დაეგრძობა და მი-  
წასთან გავსწორებინათ იმისთანა მთა, როგორც კბი-  
ლამთა, მაშინ არც ტექნიკა იყო საიმისოდ და არც  
ინჟინერ სპირდებოდა იგი. დღეს, ჩემი გუბაზ, სულ სხვა  
დგომარობაშია. იმისთანა მანქანა-ოარალები გამოიგონა  
ადამიანმა, წინ რა დაუდგება! — მიუთქრა პაპამ.

გუბაზმა მაინც კერ გაიკო, რატომ დაანგრევდნენ  
მთას.

— რისთვის არის საპირო კბილამთის დანგრევა, მის  
ადგილას რამეს ააშენებენ?

— არა, — ხელი გაიჭიაბა ტყისმცველმა, — არაფერი  
აშენდება. საჭმე ისაა, შვილი, რომ კბილამთა კირქვის  
ქანებისაგან შედგება. კირქვას მრეწველობაში იყენე-  
ბენ. მეტალურგიულ, ცემენტისა და ქიმიურ ქარხნებს  
სჭირდება. სოფლის მეურნეობასაც. სამშენებლო ბლო-  
კებს კირქვით აშენებენ, გზებს ხრეშავენი და ასფალტ-  
ხარხავენი. მოსახლეობა კერძო მშენებლობებისათვის  
უხილება. მოკლედ. დღეს კირქვაც დიდი მოთხოვნილე-

ბაა. მერტადა, სად უნდა მოიპოვონ ის? ცხადია, სადღაც  
კირქვის საბადო. ასეთი საბადო ჩვენს რაიონშიც არის:  
კბილამთის იქით. აღმოსავლეთით, კირქვის მოპოვებე-  
ლი კარბრებია გამართული. ხვალ წყარკყვან, კბილამთა-  
ზეც ავალი და კარბრებსაც გაჩვენებ.

უკვე მრავალი წელია. ანგრევენ და ანგრევენ გო-  
რებს, მთებს, ეხილებიან და ეხილებიან კირქვას მტარ-  
რებლები, ავტოთვიმცლები. ეხილებიან და პარ-  
ტახდება აქარობა. ცივგომობის ამ წაწლი მოუშუ-  
შებელი ირა გაუჩნდა. ხვალ ნახავ იმ ადგილს, სადაც  
მთებელი და უღმარად გემგონია, უღმარა, რომელიც  
კარბრებია და უღმარად გემგონია, უღმარა, რომელიც  
მსხვერპლს ჩასაფრებულ ქვეწარმავალივით მძიმე-  
მძიმედ მოკოცავს, მოლის შეუქნენვლად, იზრდება სა-  
აფრო ღრუბელივით. აბა, წარმოიდგინე, კბილამთის  
ადგილზე ადარც მთა, ადარც ტყე... მარტო უღმარა-  
სანი გავეჩინებულნი, მზით გავეჩინებულნი თეთრი რიყი-  
გესიბოვნება?

— არა! — უმაღ უბასუხა გუბაზმა. მან კბილამთის  
ადგილზე ერთ წამს მართლაც ტილადა ქვეული გაუ-  
ღამბოვებული სირცხ ქარბრებიდნა.

— რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო, — დეთან-  
ხმა სანდრო და განაგრძო: — ნეტავი სთფრთხილეს,  
ზომიერებს მაინც იჩენდნენ. თითქოს ეს მიწა-წყალი  
უქსო იყოს მათთვის და არ ევლავლიდეთ გაუფრთხილ-  
დნენ, მომავალ თაობებს შეუნახონ სასლამათი მთა-  
ცა და ბავრი, ტყეცა და მუნდარეც... მტრებივით უგუ-  
ნურად იქცევიან. უარბებული კირქვა სულ უზრუნოდ  
იფანტება, ზედ ფუტ უბასუხა აყრიან ბულდოზერები,  
მართავენ ახალ-ახალ კარბრებს, აქოთადა, დიდი მარა-  
გათა, სასიკვდილოდ სწორიან მთა-გორებს.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს რაიონში გერმანე-  
ლი სატექნიკური იყენეს სტუმრად. ბავნი ხომ დიდი  
წესრბის, საქმის ხალხია. უნახავთ გზებზე გაშლილი  
კირქვის ხრეში და გაოცებულან: ეს ხომ ოქროს ფსაია,  
როგორ იხეიბებ გზის მოსახრეშაოდ? ულევით ამ ქვეე-  
ნად არაფერიცა, გაუფრთხილდით, ნუ დაღუბავთ ცულ-  
უბრალოდ ამ ქვირცას ნელლეულსა.

ვინმეს მიუტუნია გულთან იმითი ჩრეცა?

ორი წლის წინათ აქ თბილისიდან კაცი მესტუმრა.  
ბიოლოგი ვარო, გამეცნო. კბილამთა იმ კაცმა ფხიტი  
მოიარა. ერთ დღეს გახარებული მოვიდა ჩემთან. სახე  
უყინოდა. თქვენ არ იცით, რა იშვიათი მცენარე ვიპო-  
ვენი? საქართველოში დიდი ხნის წინათ გადაშენებულ  
გვეყვანა. წითელ წიგნშია შეტანილი, მაგრამ ავტო, ბა-  
ტრონი, კბილამთას შემორჩენიათ. იმ მცენარის სახეც  
მიიხარა, დაინაყყადა. მერე უყურაღა „საქართველოს



ბუნებაში“ წერილიც გამოაქვეყნა თავის აღმოჩენაზე. დაანგრევდა ქილაობის, ჩემო ბიჭო, და ეგ შეენარე მოლოდ გაქვერ, მართა სახელი შემორჩება წითელ წიგნს.

გაგულმდე? პირში წყალი ჩავიგუბო? დაანგრევენ მთას და მოისპობა სხვა მცენარეებიც, მიწის პირისაგან აღივსება მთაზე შერჩენილი წარსულ საუბუნება ძეგლი — პატარა ტაძარი, რომელიც ტყის ტყვერი ისეა მიუყუდული, მგონი ჩემს მეტმა არაინც იცის მაგას არსებობა. მეც შენისგვითი გადავიყარე. ვინ ვიცი, რამდენ საილუმოსი ინახავს ქილაობის მიღაობები. მე სად შემიძლია, ბილიკ-ბილიკ, ტყე-ღრე ძროხილი იმათ აღმო-საჩვენად. ამ ორი თვის წინათ სოკეო მუერნაობაში ჩემს უფროსსათან მივედი და გვეუბნები: გავიგე, ქილაობის დაანგრევის უპირებენ-მეთქი!

— მერე, შენ რა?! — მეკითხებიან და გაკვირებულნი შემოძკეპრიან.

— როგორ თუ რა, გაუშნოდება, გაპარტახდება ის ადგილი, მთას შვიათ მცენარეებთან ერთად ტყეს მიაყოლებენ, დაილუბება-მეთქი.

— იცი, რა მითხრეს, შვილო? ეგ ჩვენი საქმე არ არის, ანა რა ქნას რაიონმა, კირქვის დამზადების გეგმები რომ შესარულოს, ტყის ძვლისათვის მტრალურ-გაფულ და ცემენტის ქარხნებს სომ ვერ გააჩერებენო. ამ პასუხით გამომისტუმრეს. არადა, აღწინდელი კარიერები წესიერად რომ დაამუშაონ, უფრო-უტკობად რომ არ ანიაგებდნენ კირქვის სახალს, ნამდვილად ვიცი, სულ ცოტა ოცი წელი მაინც ეყოფოდა ქარხნებსაც და სხვებსაც.

ლაპარაკში მინდორი ისე გაიარეს და საყარაულოში ისე მივადრეს, არ შეუშინებიათ.

სანდრომ შინიდან გუბაზის მოტანილ ჩანთაში ჩაიხედა.

— რა გამოგატანა ბებიაშენმა? ყოჩაღ, მწვანე ლობიო მოუშაზღვია. ძეხვიც არის, ამას, ვაჭკაცო, შენ მოგატომედი ქალაქიანს. შაშ, ვეკიფობი?! მოდი. ხელები გადავიბანოთ. დღის შემოვლილი ვიყავი, ტან-ტრეც ტარებით ცხენი დაეღალე, დღლას აქეთ ლუქმა არ ჩამიდგია პირში.

სანდრომ საჩხის სვეტზე ალუბინის დაკიდებულ პირსაბანო დოქიდან წყალი ჩაასხა, ხელები დაიბანა და გუბაზს ადგილი დაუთმო. თვითონ ტახტთან დადგმულ, გაურანდავი ფიკრებით გაკეთებულ მაგიდაზე ჩანთიდან სანოვაგე ამოაწყო, ძეხვს დასუნა, მოეწონა, სწორედ ისეთია, მე რომ მიყვარსო.

გუბაზმა არ შოიდა, პაპას ხათრით მაინც მიუჯდა მაგიდას.

- უძალოდ როდემდე იქნები, პაპა?
- ვითხრა ბებიაშენმა, რომ მომიკლეს?
- შიონტას!
- ვიღაცას საყარაულის ეზოში, აგერ იქით, სკები რომ აწყვია, მოწამლული ხორცის ნაჭრები გადმოეყარა, მაგით იყარეს ჩემზე ჯავრი!
- რა ჯავრი ჰქონდათ ამისთანა?!
- ამ ზამთარს ერთი შემოსი ქურდი დავიკვირე. ბრიყვი, ჯირკვითი გაუთლელი ახალგაზრდა იყო. ცულის მოცემა არ უნდოდა, არ შემორჩიდებოდა. პირიქით, იმუქრებოდა. იცოდა, თოვს ტყუილად ვეუბრები და გათამაზდა. საცემრადიც გამოიჩინა ჩემზეც. ქორიამ უცებ შეთუყვდა და ხელში ეცა. უპიანა. ძლივს მოვაცილე, თორემ ჩულოვით დაფესკავდა. გავიდა რამდენიმე დღე და ქორია ეზოში მკვდარი ვიპოვევ.
- ის ძალი რატომ არ მოკვავს?

- ბებიაშენს რომ შეეხიზნა?
- კარგი ძალი ჩანს, გონიერი. დამინახა თუ არა, მაშინვე გამიშინაურდა.

— ტყეში უძალოდ ყოფნა ძნელია. ჭორია მეგობარივით შეგვდა. ორ-სამ დღეში წამოვიყვან. ერთხელ დაეტყუეს, კურდღელი დახვარო და მოეტანა. ხელში აღვირი მიქარა, წელზე მაგარად გადავკარი და დავკვილე კიდევ. შეშინდა, წაგწყავით გაფრთხა. წავიდა და წაიდა. ოთხი დღე დაიკარგა. დადვითხა და დავეძებდი. მთელი ეს არემთელი მოვთავ, მოვიკითხე კარიერებზე. ვიყავი მსხვერველბობის ფერმებში. მაინც ვერ ვიპოვევ. მეხუთე დღეს სოფელში წავიდი. ჭორია სახლში დამხვდა, კიბის ქვეშ მთლად გასაცოდავილი იწვია. საღა პწონდა ის მშხინავეი შავი მუწევი, კუჭისისაგან ბეჭვი დაპყავოდა. რომ დავეძახე, თავი წამოსწია, ნაღვლიანდ შემომხვდა და მიღვეე ამარდა თავი, დრუნჩი ლაქვში დაძალა.

— საცო, რა დავმართა ამ ძალს, მეოთხე დღეა, აქ არის, თავი რათ ვაგანება? წევს შიშვირი კიბის ქვეშ, არც ჰმას, არც ხმას იღებს, მაგის ყუფა არ გამოიზონია, ავიღებო არ არისო? — კითხვა ბებიაშენმა.

ვეუთარი, რაც მოხდა. მერე უფრო ახლოს მივედი ქორიასთან. თავზე ხელი გადავუსვი, მივეფერე, მახადრე-მეთქი, ვეზურულეობილი, ისე მკაცრად არ უნდა დამესიყვე-მეთქი. ვატყობდი, სიამოვნებდა ჩემი მოვე-



რება. თავი ასწია, კელი გააქიციანა, სიხარულის ნაპერწკლები აუციმიცოდა თვალებში. ბებიაშენმა ხორცის ნაჭერი მოძეცა, უხეცვ, იქნებ უკმოსო. გამომართვა ხელიდან, წაშში გადაყალაა. მოკალდე, შეგრიობით. იმის შემდგე ჭორია აღორ დამიტუქსია, არც იმისთანა რამ გაუკეთებია, რომ გაგწყრომობი.

საუბრალო მორტოციკლის ხმამ შეწყვეტინათ. ტყიდან ტრახტებით მწოვედ შინისდვირი, ძარიანი მორტოციკლი გამოვიდა. მინდორი სწრაფად გადმოიარა და საყარაულოს ეზოს კართან გაჩერდა. მორტოციკლიდან ორნი გადმოვიციენ. ის, ვინც მორტოციკლის საქვს მართავდა, მილიციის ფორმიანი, საშუალო სიმაღლის შავფეხავმა კაცი იყო; მეორე, მორტოციკლის ძარში რომ იქნა — ლურჯ კოსტრუქში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი გასალდა. ხელში წვრილი ნიკელის სასტეტებით და პრიალა საკეტებით დამშვენებულ „ნაიბომატი“ ეკი-რა.

- ვინ არიან? — ჰკითხა გუბაზმა პაპას.
- ერთი ჩვენი უბნის ინსპექტორია, მეორე არ

ვიცნობ! — უბასუხა სანდრომ და სტუმრების შესაგებულ ტახტიდან წამოღდა.

— აჰა ხარ, სანდრო? გამარჯობა! — შორიდანვე მიესალმა ტყისმცველს უზოში შემოსული უზნის ინსპექტორი.

— გავიმარჯოს, კარლო, გავიმარჯოს! — მაშინვე გაეხმინა სანდრო და მოსულებს ხელი ჩამოართვა.

კარლომ ახალგაზრდა კაცისკენ თავი გადაიქნია:

— ეს რაათინის პროკურატურიდან არის, გამომძიებელია, შენთან საქმე აქვს.

— ჩემთან? რა მკერის გამოსაძიებელი, ხალხო, რა ამბავია?! — გაიკვირვა სანდრომ და გვიცინა. ეგონა, ინსპექტორი ხუმრობდა. აინუნძო არ ჩაადლო მისი ნათქვამი და ორივე სუფრასთან მიიწვია, მობრძანდით, დავიწვით, სტუმარი ღვთისაა.

გუბაზმა ტახტზე ადგილი დაუთმო სტუმრებს, საყარაულოდ სკამი გამოიტანა და მოკვირთან დაჯდა.

კარლომ ბიჭს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— შენი შვილიშვილი იქნება, სანდრო!

— ხო, დღეს ჩამოვიდა ქალაქიდან. კარლო, გატეხეთ პური, სასმელზე უკაცრავად ვარ, ცივ წყალს მოგართმევთ.

ინსპექტორმა ტყისმცველს თვალით გამომძიებელზე ანიშნა.

— შაბატით, თქვენი სახელი არ ვიცი, შვილო, — სანდრო პასუხის მოლოდინში გამომძიებელს შეაჩერდა.

— აჰ მე პურის საჭმელად არ მოგსულვარ, რასაც შეგეკითხებით, იმაზე მიპასუხეთ! — ისე მკაცრად თქვა გამომძიებელმა, ტყისმცველს მეტეხერ ბლაც სახელი უკითხავს, აღარც პურის ქამა შეუღავაზებია.

— ეეთიო, ბატონო, შემეკითხეთ! — ტყისმცველმა ხელში შემორჩენილი პურის ლუქმა მაგდაღებ დაღო.

კარლოს შიდა, შიმშილმა სირცხვილი არ იცისო, თქვა სიცილით და მაგიდიდან ძეხვის ნაქერი და პური აიღო.

გამომძიებელი შავვერემანი იყო. მსხვილი წარბები, წარბებსშუა ნაოჭი, სივამდრისაგან შევარდნილი ლოყები და მაგარდ მოკეფული ტუჩები მკაცრ შესახედობას აძლევდა. მან „ღობლურები“ საკეტები გააჩხაკუნა, გახსნა და იქიდან ქალაღი ამოიღო, პასტის კალამი მოიმარჯვა.

— შვილო, არ შეიძლება, ჯერ გამაგებინო, რა მიზეზმა მოგაყვანა აქ, რა დანაშაული მიმიძღვის? — ჰკითხა საწყურად გამზადებულ გამომძიებელს სანდრომ.

— მაკალო, მოქალაქე, — შეუტია გამომძიებელმა ტყისმცველს, — შენ მარტო კოთხებზე ვამოქცე ასახე.

— კარგი, ბატონო, ბრძანეთ! — თქვა სანდრომ და პურის ჰაბით ვართულ კარლს გადახვდა.

— გაიგივან, კინაღამ კაცი შემოგვეღობო! — გამომძიებლის მაგიერ კარლომ ვააცნო მიზეზი.

— მეი, კაცი! — გაუკვირდა სანდროს და გაოცებინაგან ორივე ხელი განზე გაშალა, ეს რა შესისო.

— პროკურატურაში საჩივარია შემოსული, სამი კაცი გიჩიოს, — მკაცრად თქვა გამომძიებელმა.

— პროკურატურაში ჩემზე საჩივარი! — ჩაფიქრდა სანდრო, ჰალარა თავიდან განუწყრელი ნაბთის ქული მოინახლა. ხელი საჭირებზე ჩამოისვა. თითები ოფლმა დაუსველა. ვინ სამი კაცი უჩიოდა? — ფიქრობდა და ვერ მოეგონა. არც გამომძიებელი ჩჯარობდა მათი ვინაობის გამგებლას.

გუბაზი თვალს არ აცილებდა შაპას. დაუთკებელ სურვილს გასწვრიოდა, დაწყვილებით ვაგეო, ვინ ან რას უჩიოდნენ სანდრო შაპას, რატომ იქცეოდა მკაცრად

გამომძიებელი, რომელმაც თავისი ქედნალობით მოსვლისთანავე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ემპაწვილებზე.

— ჰოო, ვიცი, ვიცი, ვინც მიჩივლებდნენ! — წამოიძახა სანდრომ და შუბლი გაეხსნა, გაიღმა კიდევ: — მეგონა, რა ამბავია-მეთე, ე მაგისტვის ამ სიმორბეზე წამოხვედით, არ გეზარებოდით?!

— რაო: არ გეზარებოდითო? — გაჯავრდა გამომძიებელი.



ბელი, — ციხეში რომ ჩაავყუდებ, მაგრე არხინად აღარ ილბაძრავებ!

შეკარამ ტყისმცველს ნირი ვერ შეუცვალა.

— რა წინასწარი იმუქრები, კაცი, ჯერ გაარკვიებტყუნ-მართალი, მერე მოყევი შექარას. შარშანაც მიჩივლა ორმა ბრაკონიერმა, ცილი დამწამეს, ჩვენი დასოცვა უნდოდაო, მაგარდ არ ვაუუიდათ ფანდი. აჰ, ჩემო მშაო, ცოტა მარჯვედ რომ არ მოვიქცე, ტყისა და ნადირაფრინველის ქურდი იმისთანაა, არ დაშინდობს, ცოცხლად შეჭკამს.

— მქარა! — მკაცრად შეაწყვეტინა გამომძიებელმა, — თქვენი გვარია?

— ინაშვილი!

— სახელი?

— სანდრო!

— მამის სახელი?

— რაქდნის ძე.

გამომძიებელმა მთელი ბიოგრაფია გამოჰკითხა სანდროს და დიდი გულმოდგინებით ჩაიწერა.



— მოყვეით, სად და რა ვითარებაში ესროლეთ თოფი, — გამოძიებელმა „დოლომატიდან“ ფოთელი მეღვინე რეზოლუციადღებულ რევოლუციურ ფურცელი ამოიღო და წაწერა დახედა, — მოქალაქე ნომრები შერბადინის ძე მოსვალის.

სანდრომ მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და უფრის ნიშნად ჰაერში გაიჭვინა.

- მაგ კაცს არ ვიცნობ!
- ესლა არა თქვი, ვიცი, ვინც მიჩივლაო!
- იმათი არც გვარი ვიცი, არც სახელი, არც თოფი მისკრია!

— კარგი, არც იცნობ, არც არავისთვის თოფი ვიწვრია. არა? — გამოძიებელმა რაველის ფურცელზე თითო დაღლი — დაუფრე ყურით: „...ამხ. პროკურორი, მოგახსენებთ, რომ ა/წ. 17 მისის მე (ესა და ეს), კიდევ ორი ჩემი მეგობარი (ესენი და ესენი) ბუნებრივ პურის საკმელად წაყველით. მაგრამ ტყისმცველმა სანდრო რაველდის ძე იმ შეშვამმა, მესასხელად რკინის კეტმა დასვენების საათები ჩავიგოვარა. ცხლამდ გაჩენის დღე გავწყვედინა. ტყეში პურის ჰამა არ შეიძლება, გამოძეულბდა წავსულიყავით. ვეხევეთო, ველოჩეთ, ხეებს არაფერს დავეშვებოთ, ერთ ტრტსაც არ მოვტეხო, არ მოგვისძინა. შევადო ქვა და შეუფერია თავი, მოხვედომწინდა-გინების და მოვიგვიფერა ორლულიანი თოფი. ჩვენც ხალხი ვიყავით, ველორ გაუჭედილი იმდენ უსამართლობას, ლანძღვას, ცოტა დაღუპული გვექონდა, ავღვლივით, გვიწოდოდა თოფი წაგვიტომია, რომ ცოდობდა არ დატრილდებულყოფი და გავიფრეო მაგისყვი. რააო? ვის უთვდავთო, — დაგვეყვილა და ჩემზე დამძინებულბდა თოფმა იქება. სამეღვინეო, ამქო, ტყეშია ქმლიდ გახვირბა და ვადამამორო თავიდან. ამის შემდეგ ტყეში რა გაგახვირბობა, ხომ არ დავეხოცინებოვით. ავღვივით და წაშაველივით.

ამს, პროკურორი, ვახოვით გამოძიებით აღნიშნული მდგომარეობა და დამამამვე კახონის მიელი სიმკაცრით დასაჯო.

მომიზანინ ესა და ეს“.

- გამომძიებელი სანდროს მიამჯობდა.
- რას იტყვიო?
- უფროს ტყეულის კაცი ვერ მოიგონებეს! — მშვიდლად თქვა ტყისმცველმა და გამოძიებელს თვლი თვალში გაუყარა. — ყმამყვილო, შენ გჯერა, რაც მინდ წერიოა? გამოძიებელმა თოფის წაშალოვით იფრეთქა, სახე წაშალოვით.

— ვინ არის თქვენი ყმამყვილო? ჩერ ევ ერთი, და მეორე: მიასუსხეთი კოხივახე: ესროლეთ თუ არა თოფი მოქალაქე მოსვალის?

- სანდროს ნაბღის ქული ადარ დაუხურავს. ტახტზე გვერდით მოიღო და დასტურის ნიშნად თავი დიპნია, რაამც გუზაში გააკვირვა და შეაშინა კიდევ:
- თოფი ვაგისროლე, მამ, ვაგისროლე!
- ესე იგი არ უარყოფით! — სახე გამოუტოცხლდა გამოძიებელმა.
- რათ უნდა უარყო, ვაგისროლე, მაგრამ...
- რალა მაგრამ, გამოძიებელი, რომ მოსვალის თოფი დაუმიწხნეთ და ესროლეთ კიდევ.
- არა, მოსვალის თოფი ვიღაც ჭანდაბა, არც თოფი დამძინებია, არც მისკრია!
- ვადამრევს ეს კაცი, — წამოიძახა გამოძიებელმა და ჭაგისროვდა სახეზე სისხლი მოაწყვა. — ხან ისე ამბობს, ხან ეკვ!
- სანდრო მანც თავისახე იღვა, ნირი არ შეუტყვილა.
- მე ძარი ვასავებალ ვამბობ. თოფი არავისთვის მის-

ვრია, მაგრამ საცემრად რომ წიწიეს ჩემზე, შესაბამისლად მაღლა ვაგისროლე, ტყეში ხეს ეხლაც ენწნება ჩემი თოფის ნატყვიარია!

- ინსპექტორს ჰამა მოთავებინა. მოაჯიროთან გუზაზის გვერდით იღვა. — მართლა საქეიფოდ იყენენ ის სანძი? — სანდროს ჰკითხა.

— არა, კაცი, — თავი გააქანია ტყისმცველმა, — საქეიფოდ ეს არა, საკარფანჯრე ფიცარი უნდა ჩამოხვირბოთ, მუხებზე იმისთვის სკიორებოვით. რაც ამ ქვალბდში არა სწერია? — სანდრომ თითო გამოძიებლისკენ გაიშვირა. — ტყეულო, ერთი მოკუნეტი სიმართლე არ ურუგია. ან საიდან მოიგონეს მავდენი სიცრუე. თავზე რომ დავადღევი, ერთი ზობამ მუხა „ღრუბობა“ უყვე წაგვეკვიტოს. დავხედე და გული მეტრანა, ან წალოვბდა ნახარხე ხე ამ წუთში მოესპოთ. ეს რა გეჭინათ, ჩად მოსკევირით, თქვე წამესმულბდა. უგულბოა. წაფით. გამეჭვინტე აქედან, თორემ არ ვიცი, რას გიზამთ-მეთო, აი, ამ მავდის რამე ემისმს ისე იმათ ვერაფერი შევასმინე, ხან ფულით სცადეს ჩემი დაყოლიება, ხან პურ-მართლი, ოთხი მუხა კიდევ მოგახანებინეთი. როცა ნახეს, ვერ გამტებდნენ, მეჭარას მოაკყენენ. ერთი მთავანი, ცხვირი ეცხთან ჩამტყრულივით ჰქონდა, ცულ-მოდერბულე წამოვიდა ჩემძენ. შევეფრიანდელ, რით უნდა დამეყვა თავი, როცა გვერდით მაღლიც არა მყავდა, არდა გამობოტებულ კაცი არ ჩაიღდეს. რომ მოვეყვილო, ისე ვადამავდებდნენ ტყეში, ჩემს ასავალ-დასავალს ვერაინე გაიგებდა. შენ რომ ყფილიყავი, კარო, რას იზამდე, ცულს თავს შეუჭედიო? თოფი ორლულიანი მაქ. პირველი მაღლა, ჰაერში ვისროლე: თუ ერთი ნაბიჭსაც ვაღწოდვამ ჩემძენ, მეორე ტყეია შენ მოგხვდებდა-მეთო. მუქარამ ვაჭრა, მკენიანიარევი ვაჩირდა, სხვებსაც გაუტყდათ იტიბარო, წამოკრთეს თავიანი თულები და წვაიდნენ.

— ხოდა, სანდრო, რაღო აქტი არ შევადგენ და მილიცაში არ მონდრე, მაშინ გეგინ ვაღარ იჩივლებდნენ. ხომ ვაგოფონია, ვალბა შევადგე, ვამოლმა შეგჩრებაო! — დამრბოვლური ტონით უთხრა ტყისმცველს ინსპექტორმა.

— აქტი ვისთვის შემედვინა, კაცი, გვარი არ აწერიათ შეუბლზე და სახელი, მე არ ვიცნობ, თითონ არ მეუნებინან. თანაც ესეთი ამბები ტყეში სზირად ხდებმა რომელ ერთს ვეჩივრო, მამო, რომელ ერთს. რატომ თითონ არ უნდა ესმოდი, რომ უნებართვოდ ტყეში ხის მოჭრა, ისიც მუხისა, არ შეიძლება, აგრძობულია. ომის წლებში ეს არემარე მთოლად განიანახლეთი იყო, ძლიეს წამოზიარდა ტყე, გამარჯვდა მუხა. დიდრინი მუხები თითო-ორალა შემოჩრინილი და იმასაც ქურულალად ჰქონან, ანდაგურებენ. მაშ არ დაეუშალო? აი წელანაც ხობებზე ანეკეითი მონადირე ბრაკონიერი დაეკვირეთ!

— ანეკეითი? — გაუყვირა კარლოს. — ანეკეითით თევზ იჭერენ, ევ რალა მოუგონიაო!

